




საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# საქართველოს ტურიზმისა და სასტუმრო სექტორის კვლევა

SME და კორპორატიული საკრედიტო  
რისკების განყოფილება

ირაკლი ისაკაძე  
ჭაბა მახრიშვილი




# საქართველოს ტურიზმისა და სასტუმრო სექტორის კვლევა

## გეგმა


- ტურიზმის მნიშვნელობა და მახასიათებლები საქართველოში
  - სექტორის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში
  - საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლები
  - საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების დინამიკა და კომპოზიცია
  - საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების სეზონურობა და ხანგრძლივობა
  - საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯები და ვიზიტის ძირითადი მიზანი
  - განთავსების საშუალებების ტიპები, დინამიკა, ადეკვატურობა და პროგნოზი
  - საქართველო booking.com-ზე
  - COVID19-ის შემდგომი აღდგენის პერსპექტივები
  - შიდა და გამყვანი ტურიზმი - კოვიდ სტრესის მიდიგანდი?
  - უნაღდო ანგარიშსწორება სასტუმროებში
- ტურიზმის სექტორის საკრედიტო რისკების შეფასება
- სასტუმრო სექტორის პირველადი კვლევა
- შეჯამება

# ტურიზმის წვლილი მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკაში

ტურიზმის კონტრიბუცია მშპ-ში (2019)




ვიზიტორები ერთ სულ მოსახლეზე (2019)




- მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ტურიზმის წვლილი საქართველოს მშპ-ში საკმაოდ მაღალია და 27%-ს აღწევს, რაც ასევე მაღალი მაჩვენებელია ტურიზმის კუთხით ისეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი, როგორც ხორვატია, კვიპროსი და საბერძნეთია.
- 2016 წლიდან მზარდია ტურიზმის სექტორის კონტრიბუცია დღგ-ში (GEOSTAT);
- მზარდია საქართველოში განხორციელებული ვიზიტები ერთ მოსახლეზე გაანგარიშებითაც;
- Peer ქვეყნებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია, რაც საქართველოსთვის ვიზიტორების ვიზიტების ჯანსაღი ზრდის პოტენციალზე მიუთითებს;
- ამასთან ზრდის ტემპი მკვეთრად იმატებს 2016 წლიდან;
- საქართველოს სერვისის ექსპორტში ტურიზმის წილი 71%-ია (2019);

საქართველოს სერვისის ექსპორტი - 2019




# საერთაშორისო ცურიზმის ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლები


საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების დინამიკა



შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან




- საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები 2011-19 წლებში ყოველწლიურად იზრდებოდა, თუმცა 2018-19 პერიოდში ზრდის ტემპი კლებადი იყო;
- მიუხედავად კლებადი ზრდის ტემპისა, ზრდის მაჩვენებელი მაინც მაღალ ნიშნულს ინარჩუნებდა (11% და 7%);
- პანდემიამ ვიზიტორების ვიზიტები 80%-ით შეამცირა 2020 წელს, ხოლო 2021-ში 14%-იანი წლიური ზრდით 2019 წლის მაჩვენებლის 22%-ს მიაღწია;
- ვიზიტების მსგავსად 2011-19 წლებში მუდმივად მზარდი იყო საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც, თუმცა 2018-19 წლებში აქაც ზრდის ტემპის შემცირება იყო, 2019 წელს კი შემოსავალი ფაქტობრივად იგივე დარჩა;
- 2020-ში საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალი 83%-ით შემცირდა, ხოლო 2021-ში 130%-იანი წლიური ზრდით 2019 წლის მაჩვენებლის 22%-ს მიაღწია;
- შემოსავლები აღდგენას უფრო სწრაფი ტემპით ახერხებს, ვიდრე ვიზიტების რაოდენობა, რაც ვიზიტორების სტრუქტურის გაუმჯობესებით არის გამოწვეული;
- პანდემიამ რეგიონის და სხვა შესაძარ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი გავლენა საქართველოზე მოახდინა. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 83%-ით შემცირდა, დაახლოებით იგივე პროპორციით სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, დანარჩენ ეკონომიკებში კი შედარებით მსუბუქი ნეგატიური ეფექტი დაფიქსირდა;
- შემოსავლების შემცირება უნდა განვიხილოთ რეგულაციების სიმკაცრის ინდექსთან მიმართებაში, რადგან პანდემიასთან ერთად დამატებით გავლენას ვირუსის გავრცელების სამართავად ინდივიდუალური ქვეყნის შიდა რეგულაციების სიმკაცრეც ახდენს.
- საქართველოში სეზონური პერიოდის რეგულაციების სიმკაცრე შესაძარი ქვეყნების საშუალოზე მაღალია, თუმცა არსებობს ისეთი ქვეყნებიც, რომლებსაც უფრო მეტი სიმკაცრე ჰქონდათ და ნაკლებად შეუმცირდათ შემოსავლები (საბერძნეთი, თურქეთი...)




# Covid19-ის შემდგომი აღდგენის დინამიკა


საერთაშორისო ვიზიტების და ტურიზმის შემოსავლების აღდგენა 2019 წელთან შედარებით



ტურისტული ვიზიტი %




ტურისტული ვიზიტი %




# საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების დინამიკა და კომპოზიცია

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების განაწილება რეგიონების მიხედვით




საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით



- ვიზიტორების 71%-ზე მეტი მეზობელი ქვეყნის რეზიდენტები არიან, თუმცა 2016 წლიდან მათი წილის მზარდი ტენდენცია კლებადით შეიცვალა;
- განუზრვლად კლებადია საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების ვიზიტების წილიც. ამასთან აღსანიშნავია, რომ მათი ვიზიტებიც სეზონურია და ტურისტების მსგავსად ზაფხულის თვეებში აღწევს პიკს;
- საპირწონედ იმატებს ევროკავშირის (დიდი ბრიტანეთის ჩათვლით) ქვეყნების ხვედრითი წილი. შესაბამისად საქართველოში იმატებს მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან ვიზიტები, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ტურიზმის განვითარებისათვის;
- ვიზიტების რაოდენობის მიხედვით ტოპ10 ქვეყნის სია დინამიკაში თითქმის უცვლელია, თუმცა ცვალებადობა ხდება ამ ქვეყნების რანგებს შორის. 2019-ში მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა ყაზახეთი, გერმანია, პოლონეთი და ისრაელი, ხოლო პოზიციებს კარგავდა ირანი;
- 2019 წელს რუსეთიდან ფრენების აკრძალვის მიუხედავად წლის ჭრილში დაფიქსირდა ვიზიტების 5%-იანი ზრდა 2018 წელთან შედარებით;
- მეზობლების მაღალი წილი პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის კვეთის მაღალ წილთან:

ვიზიტები საზღვრის ტიპების მიხედვით



# ცოკ 15 ვიზიტორი ქვეყანა

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები


	ქვეყანა	2019: 3 თვე	2020: 3 თვე	2021: 3 თვე	2022: 3 თვე	ცვლილება 2019/2022 %
1	თურქეთი	201 192	180 058	50 720	103 802	-48,4%
2	რუსეთი	254 077	172 123	9 544	71 793	-71,7%
3	სომხეთი	232 449	181 720	15 316	58 962	-74,6%
4	საქართველო (არარეზიდენტი)	117 769	106 823	18 733	55 120	-53,2%
5	აზერბაიჯანი	292 902	262 190	11 314	29 337	-90,0%
6	ისრაელი	24 995	24 952	674	29 327	17,3%
7	უკრაინა	33 645	32 208	4 815	27 607	-17,9%
8	ირანი	30 454	16 758	1 213	14 425	-52,6%
9	ყაზახეთი	10 757	9 082	1 844	14 031	30,4%
10	საუდის არაბეთი	4 493	4 826	18	10 527	134,3%
11	უზბეკეთი	4 560	3 317	4 420	8 063	76,8%
12	ბელარუსი	6 547	7 143	1 477	12 384	89,2%
13	ინდოეთი	11 643	8 162	454	6 734	-42,2%
14	პოლონეთი	7 022	10 327	136	5 699	-18,8%
15	ფილიპინები	8 546	6 631	98	5 477	-35,9%

საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები (USD)


	ქვეყანა	2019: 3 თვე	2020: 3 თვე	2021: 3 თვე	2022: 3 თვე	ცვლილება 2019/2022 %
1	რუსეთი	166 162 898	81 827 863	8 066 507	67 719 058	-59%
2	EU + GB	59 510 838	63 063 115	7 737 226	44 429 685	-25%
3	თურქეთი	79 888 320	66 734 293	12 671 395	40 788 175	-49%
4	უკრაინა	30 827 483	27 511 736	5 402 881	38 383 651	25%
5	ბელარუსი (2022-დან)				37 865 381	-
6	ისრაელი	28 425 888	25 184 358	1 717 121	35 111 623	24%
7	აზერბაიჯანი	52 504 350	43 148 365	3 050 828	16 554 493	-68%
8	სომხეთი	33 070 474	25 713 651	1 709 188	13 832 224	-58%
9	საუდის არაბეთი	4 176 030	6 103 359	37 612	12 088 007	189%
10	ირანი	29 644 842	13 911 637	533 402	10 653 286	-64%
11	დანარჩენი ქვეყნები	94 231 107	74 500 295	12 625 027	76 282 781	-19%

# რუსეთი


ვიზიტორების ვიზიტები




ვიზიტორების ვიზიტები



ტურიზმიდან შემოსავალი \$




ტურიზმიდან შემოსავალი \$





# ბელარუსი


ვიზიტორების ვიზიტები



ტურიზმიდან შემოსავალი \$



ვიზიტორების ვიზიტები




ტურიზმიდან შემოსავალი \$




# უკრაინა


ვიზიტორების ვიზიტები




ვიზიტორების ვიზიტები



ტურიზმიდან შემოსავალი \$




ტურიზმიდან შემოსავალი \$




# საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტორების ვიზიტების სეზონურობა და ხანგრძლივობა

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები თვეების მიხედვით




- 2018 წლამდე საქართველოში ტურისტული ვიზიტები სულ უფრო და უფრო სეზონური ხდებოდა, 2018-19 წლებში მცირედით შემცირდა; სეზონური პერიოდი ზაფხული, ხოლო პიკის თვე აგვისტოა;
- სეზონურობის ინდექსი, რომელიც ყველაზე დატვირთული სამი თვის წილს ითვლის, 2011 წლიდან მზარდი იყო, თუმცა კლება დაიწყო 2018-19 წლებში; სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო ნაკლებად სეზონურია;

ვიზიტორების საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა (ღამე)





- სეზონურობა გამოკვეთილია არა მხოლოდ ვიზიტების რაოდენობაში, არამედ ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობაშიც;
- ყველაზე ხანგრძლივი ვიზიტები სწორედ პიკურ პერიოდში, III კვარტალში ფიქსირდება;
- საშუალო ხანგრძლივობის მზარდი ტრენდი 2018 წლიდან კლებადით შეიცვალა და 4,3 ღამიდან 4,1 ღამემდე შემცირდა;


სეზონურობის ინდექსი (2019)



# საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯები და ვიზიტის ძირითადი მიზანი



• საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური დანახარჯების ყოველწლიურ ზრდაში ძირითად ეფექტს შოპინგის და განთავსების საშუალებები ახდენს;




- საქართველოს ტოპ5 ვიზიტორი ქვეყანა დაბალმხარჯელობითა და მოკლევადიანი ვიზიტებით გამოირჩევიან;
- ყველაზე მაღალმხარჯელები აშშ, საუდიის არაბეთი, ემირატები, ბრიტანეთი და ევროკავშირის ქვეყნები არიან. მათი წილი ვიზიტორებში ამჟამად მცირეა, მაგრამ მზარდი ტრენდი აქვთ;
- ირანი, უკრაინა, ყაზახეთი და რუსეთი შედარებით დიდი ხნით სტუმრობენ საქართველოს და ამავე დროს ტოპ10 ვიზიტორთა შორის არიან. თუმცა ირანიდან ვიზიტების რაოდენობა კლებულობს და ტოპ ვიზიტორებში ადგილს კარგავს;
- საპირწონედ სწრაფი ტემპით იზრდება ჩინეთიდან, ყაზახეთიდან, პოლონეთიდან და გერმანიიდან ვიზიტორების რაოდენობა და ამასთან მათი ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 7 დღეს აღემატება.
- საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური დანახარჯები ყოველწლიურად მზარდი იყო, რაზეც ძირითად ეფექტს შოპინგის და განთავსების საშუალებებზე გაწეული დანახარჯების მაღალი ზრდა ახდენს;
- ყველაზე მეტი ვიზიტი დასვენება/გართობის მიზნით ხორციელდება. მისი წილი მზარდია და 2015-19 წლებში 31%-დან 43%-მდე გაიზარდა.
- მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ნათესავების მონახულების მიზნით ვიზიტებს, რაც საერთო ვიზიტორთა რაოდენობაში მეზობლების მაღალი წილით აიხსნება (ასევე არარეზიდენტი ქართველების წილიც);
- სატრანზიტო ვიზიტების დიდი მოცულობა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება, თუმცა ეს მაჩვენებელი წმინდა ტურისტული მიზნობრიობით ვიზიტორთა მაღალი ზრდის ფონზე მცირდება;


# განთავსების საშუალებების ტიპები და დინამიკა

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განთავსების საშუალებებში გათეული ღამეების განაწილება

■ გათეული ღამეები ● ზრდა 2018/19




განთავსების საშუალების ტიპები და მათი წილი მთლიან რაოდენობაში (აპრილი, 2022)




- ვიზიტორები ღამეს უმეტესწილად სასტუმროებში ათევენ, თუმცა 2018-19 წლებში სასტუმროში გათენებული ღამეები 7%-ით შემცირდა;
- პოპულარული ხდება აპარტამენტების და ჰოსტელის ტიპის ობიექტები, რაზეც მათი ზრდის მაჩვენებლები მიუთითებს. ბოლო პერიოდში ისინი აქტიურ კონკურენციაში შემოდიან სასტუმროებთან;
- ტრაილერში გატარებული ღამეების დიდი რაოდენობა გამოწვეულია საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციით;
- ტურისტების არჩევანიდან გამომდინარე, განთავსების ტიპებში არსებული საწოლების რაოდენობით სასტუმროები ლიდრობს;
- სასტუმროების და საოჯახო სასტუმროების რაოდენობა თითქმის ერთნაირია, მაშინ როცა საწოლფონდი გაცილებით მეტია სასტუმროებში და ის მთლიანი საწოლი ადგილის 66%-ს შეადგენს;
- საწოლი ადგილების რაოდენობის მიხედვით ლიდრობს აჭარა;
- აჭარას მცირედით ჩამორჩება თბილისი;
- მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უფრო მეტ ღამეს ატარებენ ვიზიტორები, აჭარაში არსებული საწოლი ადგილების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე თბილისში. ამის მიზეზია აჭარის უფრო მეტად სეზონურობა.
- ქვემო ქართლში საწოლი ადგილების ყველაზე ცოტა რაოდენობაა, მაშინ როცა ვიზიტების რაოდენობის მიხედვით ის მესამე ადგილზეა რეგიონებს შორის. ამის მიზეზი არის ის, რომ მეზობელი ქვეყნების ვიზიტორები (აზერბაიჯანი; სომხეთი) ვიზიტის ობიექტს ქვემო ქართლი წარმოადგენს ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს რეზიდენტების მონახულების მიზნობრიობით. მათ ხარჯზე საქართველოში ნათესავების მონახულების ვიზიტით სტუმრობა რიგით მეორე ადგილს იკავებს ვიზიტის მიზნებს შორის;

საწოლებისა და ღამისთევების ურთიერთპროპორციები




# განთავსების საშუალებების ტიპები, დინამიკა და ადეკვატურობა

საწოლების რაოდენობა



საწოლფონდის შედარება სხვა ქვეყნებთან - 2019



- განთავსების ობიექტებში ჯამური საწოლების რაოდენობა მუდმივად მზარდია;
- საწოლი ადგილების ზრდის ტემპი 2019 წლამდე ძირითადად მზარდია, ამასთან კლებადია ვიზიტორების მიერ გათენებული ღამეების ჯამური რაოდენობის ზრდის ტემპი;
- დაგეგმილი სასტუმროების მიხედვით ზრდის ტემპი საგრძნობლად უნდა გაიზარდოს და სავარაუდოდ მნიშვნელოვნად გადაასწრებს ვიზიტორების მიერ გატარებული ღამეების ზრდას. პანდემიის პერიოდში მრავალი სასტუმროს გახსნის ვადების გადაწვევის შედეგად 2022-ში საწოლფონდის ისტორიულად მაღალი ზრდაა მოსალოდნელი;
- აღნიშნული დისბალანსი სასტუმროებში დატვირთულობისა და საშუალო ფასის შემცირების რისკებს ზრდის;
- ფაქტობრივი მონაცემებით დასტურდება, რომ 2018-19 წლებში ვიზიტების ზრდის ტემპის და საშუალო ხანგრძლივობის კლებამ სასტუმროებში (განსაკუთრებით მაღალ კლასში) გამოიწვია დატვირთულობისა და ADR-ის შემცირება.
- თუ Peer ქვეყნებს საწოლის 1 ვიზიტორზე დაანგარიშებული კოეფიციენტის კლებადობით დავალაგებთ, საქართველო დაახლოებით ცენტრში აღმოჩნდება. რაც იმას ნიშნავს, რომ 2019 წლის მონაცემებით საწოლფონდის მიწოდება მეტ-ნაკლებად ბალანსშია;
- არსებობენ რიგი ქვეყნები, რომლებიც უფრო ეფექტურად მართავენ საწოლების რაოდენობას როგორც ერთ ვიზიტზე დაანგარიშებით, ისე ერთ ტურისტზე დაანგარიშებით (კვიპროსი, ბულგარეთი, საბერძნეთი...);
- საგულისხმოა, რომ ეს კოეფიციენტი უნდა განიხილებოდეს სეზონურობის ინდექსთან ერთად, რადგან რაც უფრო სეზონურია ქვეყანა, მით უფრო დაუბალანსებელი მიწოდება/მოთხოვნა ექნება „ბუნებრივად“ მთლიანი წლის ჭრილში;
- საქართველო შედარებით ნაკლებად სეზონური ქვეყანაა, შესაბამისად ხორვატიის ბევრად მაღალი საწოლი/ვიზიტორი კოეფიციენტი პირდაპირ არ ითარგმნებოდეს, რომ ის საქართველოსთან შედარებით ბევრად არაეფექტურია, რადგან მისი სეზონურობის კოეფიციენტი 64%-ია, საქართველოსი კი 36%;


# დაგეგმილი განთავსების საშუალებები

## მშენებარე და დაგეგმილი სასტუმროები 2022-2024

საერთაშორისო ბრენდი	რეგიონი	ქალაქი	დასრულების წელი	ოთახების რაოდენობა	ადგილების რაოდენობა
Babylon Tower	აჭარა	ბათუმი	2022	168	336
Swiss-Belhotel	აჭარა	ბათუმი	2022	186	360
Holiday Inn Express	თბილისი	თბილისი	2022	121	240
Holiday Inn Express	თბილისი	თბილისი	2022	110	220
Marriott Autograph Collection-Panorama Sololaki	თბილისი	თბილისი	2022	210	420
Paragraph Hotel Freedom Square	თბილისი	თბილისი	2022	220	440
Swissotel	თბილისი	თბილისი	2022	150	300
Royal Abastumani	სამცხე-ჯავახეთი	აბასთუმანი	2022	220	440
Ibis Style Batumi	აჭარა	ბათუმი	2022	107	214
Novotel Living Batumi	აჭარა	ბათუმი	2022	167	334
Ramada Tbilisi	თბილისი	თბილისი	2022	125	190
Radisson Blu Gudauri	მცხეთა-მთიანეთი	გუდაური	2023	157	300
Tabori Ridge Recreation & Golf Resort	თბილისი	თბილისი	2023	183	366
Best Western Plus Likani Resort	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	2023	60	120
Paragraph Wellness Resort and Spa Abastumani	სამცხე-ჯავახეთი	აბასთუმანი	2023	150	300
Autograph Collection Signagi	კახეთი	სიღნაღი	2023	130	160
Offices & Hotels at Erekle II Square	თბილისი	თბილისი	2023	150	300
Hotel Sololaki Hills	თბილისი	თბილისი	2023	190	380
Ibis Hotel Tbilisi	თბილისი	თბილისი	2023	153	300
Ibis Hotel Tskaltubo	იმერეთი	წყალტუბო	2023	149	300
Radisson Racha	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ონი(უწერა)	2023	85	170
Hilton Tbilisi	თბილისი	თბილისი	2024	200	350
Paragraph Resort Ganmukhuri	სამეგრელო-ზემო სვანეთი	განმუხური	2024	160	320
Wellness Resort and Spa Mtsvane Kontskhi	აჭარა	ბათუმი	2024	120	240
Paragraph Golf & Spa Resort Tabori Hill	თბილისი	თბილისი	2024	177	354


	ობიექტის რაოდენობა	ოთახების რაოდენობა	ადგილების რაოდენობა
ბრენდირებული	25	3 848	7 454
სხვა	300	11 457	23 227
<b>სულ</b>	<b>325</b>	<b>15 305</b>	<b>30 681</b>

საწოლი ადგილების ზრდის დინამიკა (GNTA)




# საქართველო Booking.com -ზე


TOP Destinations




ობიექტების განაწილება განფასების მიხედვით (ლამე)




განთავსების საშუალებების განაწილება Booking.com-ზე რეიტინგის მიხედვით



განთავსების საშუალებების განაწილება ტიპების მიხედვით



განთავსების საშუალებების განაწილება ვარსკვლავების მიხედვით




- მონაცემები აღებულია [www.booking.com](http://www.booking.com) საიტიდან;
- ფილტრისთვის ძეზნის ფუნქციაში მითითებული იყო 30/12/2021-07/01/2022 პერიოდი;
- შესაბამისად სტატისტიკა აჩვენებს ამ პერიოდისათვის საიტზე ხელმისაწვდომ განთავსების საშუალებებს;



# Covid19-ის შემდგომი აღდგენის პერსპექტივები


კოვიდ პანდემიის ვითარება საქართველოს ტოპ ვიზიტორ ქვეყნებში (30/04/2022)




- საქართველოს (2019 წლის) ტოპ10 ვიზიტორი ქვეყნის უმრავლესობაში მოსახლეობის ვაქცინაციის მაჩვენებლის მიხედვით უკეთესი შედეგებია, ვიდრე თავად საქართველოში;
- წლის დასაწყისის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა დადასტურებული ახალი შემთხვევების რაოდენობა;
- ვაქცინაციის დაბალი დონის მიუხედავად ინფიცირების დაბალი მაჩვენებელი ქვეყანას ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველს ხდის;
- ვაქცინაციის დაბალი დონე გამყვან ტურიზმზე უფრო მეტად მოახდენს გავლენას, ვიდრე ჩამომყვანზე;

# შიდა და გაყვანი ტურიზმი - COVID სტრესის მიზიგანტი?

გასვლითი VS შიდა ვიზიტორები (ათასი)




გასვლითი VS შიდა ვიზიტორების დანახარჯები




- გასვლითი ვიზიტორები უფრო ნაკლებად შემცირდა 2020-ში (-69%) ვიდრე შემომყვანი (-80%); შესაბამისად ამ წელს ზარალის მიტიგაცია ვერ მოხერხდა;
- მიუხედავად იმისა, რომ გასვლითი ვიზიტორები 69%-ით შემცირდა, ამ ვიზიტორებით შიდა ტურიზმის ჩანაცვლება 2020 წელს არ მოხდა, რადგან პარალელურად შიდა ვიზიტორების რაოდენობაშიც შემცირებაა -12%; ამის მიზეზი შიდა მობილობაზე დაწესებული შეზღუდვები იყო;
- თუმცა რეგულაციების შერბილებასთან ერთად 2021-წელს შიდა ვიზიტორების რაოდენობამ 2019 წლის მაჩვენებელსაც გადაასწრო;
- 2019 გასვლითი ვიზიტორების მიერ უცხოეთში ვიზიტისას დახარჯული თანხა დაახლოებით 1,6 მილიარდი ლარი იყო, რაც 0,2 მლრდ. ლარით აღემატება შიდა ტურიზმის დანახარჯებს, მიუხედავად იმისა, რომ შიდა ვიზიტორების რაოდენობა 6-ჯერ მეტია გამსვლელზე;
- შესაბამისად გასვლითი ვიზიტისას საშუალო დანახარჯი გაცილებით მეტია (905ლ) ვიდრე შიდა ვიზიტისას (132ლ);
- გამომდინარე იქედან, რომ 2020-ში გამსვლელი ტურიზმი სრულად ვერ გადმოერთო შიდა ტურიზმზე, შემცირდა დანახარჯებიც, თუმცა უფრო ნაკლებად, ვიდრე თვითონ ვიზიტორების რაოდენობა;
- 2021-ში გამსვლელმა ტურიზმმა კლება განაგრძო, შიდა ვიზიტებმა კი გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელსაც კი (+17%), რაც კიდევ უფრო მეტ, 49%-იან დანახარჯების ზრდაში აისახა. საქართველოს მაღალშემოსავლიანმა რეზიდენტებმა გასვლითი ვიზიტები ძალაუვნებურად შიდა ვიზიტებით ჩაანაცვლეს, რამაც შიდა ტურიზმის ხარისხი გაზარდა და შეამსუბუქა სექტორში უცხოელი ვიზიტორების კლებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები;

# უნიტარ ანბარიუსსწორება სასტუმროებში

საბარათე ოპერაციების მოცულობა (ლ) სასტუმროს ტიპის ობიექტებში



სასტუმროებში საბარათე ტრანზაქციების მოცულობის (ლ) აღდგენა 2019 წელთან შედარებით



- უცხოური ბარათებით განხორციელებული გადხდების მოცულობა სასტუმროს ტიპის ობიექტებში გაცილებით აღემატება ადგილობრივი ბარათებით განხორციელებულ ტრანზაქციებს;
- ადგილობრივი და უცხოური ბარათებით განხორციელებული ბარათების ტრანზაქციების პროპორცია უზრუნველყოფს პრეპანდემიურ მნიშვნელობას;
- ადგილობრივი ბარათების ტრანზაქციების აღდგენა/ზრდა გაცილებით დიდია ვიდრე, უცხოურისა, რადგან პანდემიის შეზღუდვები ძირითადად უცხოურ ვიზიტებზე მოქმედებს, ხოლო შიდა ტურიზმზე შედარებით ნაკლებად;
- 2022 წლის მარტში უცხოური ბარათების ტრანზაქციების მზარდი ტრენდი კლებადით შეიცვალა;
- პირველ კვარტალში კლებადია ზრდის ჯამური ტრანზაქციების მოცულობაც;


# საქართველოს ცურიზმისა და სასტუმრო სექტორის კვლევა

## გეგმა


- ❑ ცურიზმის მნიშვნელობა და მახასიათებლები საქართველოში
- ცურიზმის სექტორის საკრედიტო რისკების შეფასება
  - სასტუმროებისა და ცურიზმის სექტორის მნიშვნელოვნება საბანკო სექტორში
  - სასტუმრო და ცურიზმის სექტორის საკრედიტო პორტფელის მახასიათებლები დინამიკაში
  - სასტუმრო და ცურიზმის სექტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხი დინამიკაში
  - სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები
- ❑ სასტუმრო სექტორის პირველადი კვლევა
- ❑ შეჯამება

# ტურიზმს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საბანკო საკრედიტო კორცფელში


ბიზნეს სესხები დაფარვის წყაროს სექტორების მიხედვით (31/03/2022)



სასტუმრო და ტურიზმის სექტორის საბანკო სესხების ნაშთის დინამიკა




- ტურიზმისა და სასტუმროს სექტორზე გაცემული სესხები ყველაზე მოცულობითია დანარჩენ სექტორებთან შედარებით;
- ამის მიზეზი როგორც ზოგადად სექტორის მაღალი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე მისი მაღალი კაპიტალტევადობაა;




- სექტორის მოცულობა 2.9 მილიარდ ლარს აღწევს, ხოლო მისი წილი მთლიან პორტფელში სწრაფად მზარდია;
- 2015-19 წლებში საკრედიტო პორტფელი ვალუტის ეფექტის გამორიცხვით 241%-ით გაიზარდა, მაშინ როცა საერთაშორისო ვიზიტებიდან მიღებული შემოსავალი დოლარში მხოლოდ 69%-ით, თუმცა ვიზიტორების დანახარჯებში განთავსების დანახარჯები 152%-ით გაიზარდა (ლარში);
- განთავსების საშუალებებზე დანახარჯები ვიზიტორების მთლიან დანახარჯებში ყველაზე სწრაფად მზარდია;
- პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა პანდემიის პირველ წელსაც, საიდანაც დაახლოებით 45% მოდის კურსის ეფექტზე, დანარჩენი რეალურ ზრდასა და %-ის კაპიტალიზაციაზე;

2020 წელს პორტფელის ზრდა და ძირითადი ფაქტორები (მლნ. ლარი)




# ცურიზმის და სასტუმრო სექტორის საკრედიტო კორცფელი - რაოდენობრივი მახასიათებლები


ვალუტიზაცია (მოცულობა)



ნარჩენი ვადიანობა სესხის ნაშთზე (თვე)




საკონტრაქტო ვადიანობა სესხის ნაშთზე (თვე)




- სესხების 87% უცხოურ ვალუტაშია გაცემული, რაც სექტორს უფრო მოწყვლადს ხდის ვალუტის კურსების მერყეობისას;
- სესხის ნაშთის წილი ლარში მზარდია, თუმცა ზრდის ტემპი დაბალია;
- სესხის ნაშთის ევროში კონვერტირება გაძლიერდა 2017 წლიდან დოლარის გაცვლითი კურსის ლართან მიმართებაში სწრაფი გამყარების ფონზე
- მზარდია სესხის ნარჩენი ვადიანობა, ზრდის ტემპი შედარებით მაღალია ლარის სესხებზე, რაც ბანკების მიერ ლარის გრძელვადიანი რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდით აიხსნება;
- უცხოური ვალუტის ვადიანობები თითქმის თანაბარია; ასევე გამოძინარე იქედან რომ 2021 წელს მცირე კლება იყო პორტფელში, შეინიშნება ვადიანობის შემცირებაც.
- ნაშთებზე ვადიანობის ზრდის ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია საკონტრაქტო ვადიანობების ზრდა ყველა ვალუტაში; ამასთან ლარის და უცხ. ვალუტის ვადების გვიკ სულ უფრო მცირდება;
- კლებადა საპროცენტო განაკვეთებიც ნაშთებზე, განსაკუთრებით ვალუტაში, 2021-ში რისკების ზრდის გამო შეინიშნება განაკვეთის ზრდა ყველა ვალუტაში, თუმცა განსაკუთრებით ლარში, რაც უმეტესწილად რეფინანსირების განაკვეთის ზრდითაც აიხსნება;

საპროცენტო განაკვეთები სესხის ნაშთზე




საპროცენტო განაკვეთები თვის შიგნით გაცემაზე




# ცურიზმის და სასტუმრო სექტორის საკრედიტო პორტფელი - რაოდენობრივი მახასიათებლები

საბანკო პორტფელის მოცულობა სეგმენტებად (31/03/2022)




საბანკო სესხების რაოდენობა სეგმენტებად (31/03/2022)




ჰეჯირებული სასტუმროების პორტფელი სისტემაში (30/06/2020)		
	მოცულობა	წილი
ჰეჯირებული რისკის პოზიციის მოცულობა	698 377 213 ლ	34%
სასტუმროებისა და ტურიზმის სექტორის უცხოური ვალუტის პორტფელი	2 076 309 500 ლ	100%




სასტუმრო და ტურიზმის სექტორის პორტფელის განაწილება ბანკებში (31/03/2022)



პორტფელის კონცენტრაცია (31/03/2022)



# ცურიზის და სასაფუძრო სექტორის საკრედიტო პორტფელი - ხარისხობრივი მახასიათებლები




- უმოქმედო და საყურადღებო სესხების წილი პორტფელში 2018-19 წლებში კლებადი იყო, თუმცა სექტორზე პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის გამო 2020-ში ამ სესხების წილმა 2012 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია;
- პორტფელის ხარისხის გაუმჯობესება შეინიშნება 2021 წელს, რაც სექტორის აღდგენით, რეგულაციების შემსუბუქებით და საკრედიტო პირობების არსებულ სტრესზე მორგებითაა გამოწვეული;
- ვადაგადაცილებული პორტფელის მოცულობა 2016 წლიდან კლებადი იყო, მცირედით გაუარესდა 2020-ში;
- 2021 წლის ნოემბერი არ არის პირდაპირ შესადარი 2020 დეკემბერთან, თუმცა პორტფელის ხარისხის გაუარესებაზე მაინც მეტყველებს. მნიშვნელოვნად გაზარდილია მოკლევადიანი ვადაგადაცილებები, რაც როგორც წესი წლის ბოლოს სწორდება ხოლმე;
- რესტრუქტურირებული სესხების წილი მეტნაკლებად სტაბილური იყო კოვიდ პანდემიამდე;
- 2020-ის მკვეთრად მომატებული მაჩვენებელი მცირედით შემცირდა 2021-ში, რაც ეკონომიკის აღდგენით და რესტრუქტურირებულ სესხებზე კლასიფიკაციის შეცვლით შეიძლება აიხსნას.
- პანდემიის დროს უფრო მკვეთრი გახდა ლარისა და უცხ. ვალუტის მიხედვით დათვლილი რესტრუქტურირებულ სესხების წილის შორის სხვაობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შოკების მიმართ უცხოური ვალუტის სესხები უფრო მოწყვლადია;



# სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები



1. კარგი LTV;
2. მზარდი შემოსავლები და ვიზიტორების ჯანსაღი ზრდის პოტენციალი;
3. დაბალი სეზონურობა / გეოგრაფიული დივერსიფიკაცია;
4. ჯგუფის სიძლიერე / სექტორული დივერსიფიკაცია;
5. სახელმწიფოს მხარდაჭერა (პროგრამა უმასპინძლე საქართველოში, სუბსიდირება, გადასახადების გადავადება...);



1. მაღალი ვალუტიზაცია;
2. მაღალი საშუალო ვადიანობა;
3. მაღალი კონცენტრაცია;
4. ჰეჯირებული მსესხებლის უცხოელი ვიზიტორების უმეტესობა შესაძლოა არ იყოს ჰეჯირებული ევრო/დოლარის მიმართ;
5. მაღალი კონკურენცია/მზარდი მიწოდება;

# საქართველოს ცურიზმისა და სასცუმრო სექტორის კვლევა

## გეგმა

- ❑ ცურიზმის მნიშვნელობა და მახასიათებლები საქართველოში
- ❑ ცურიზმის სექტორის საკრედიტო რისკების შეფასება
- სასცუმრო სექტორის პირველადი კვლევა
  - შერჩევის ზომა და მახასიათებლები
  - საშუალო წლიური ADR და დაცვირთულობის კოეფიციენტი (Colliers)
  - პირველადი კვლევის შედეგები:
    - საშუალო წლიური ADR და დაცვირთულობის კოეფიციენტები
    - სეზონურობა
    - შემოსავლების (ბრუნვების) აღდგენის ცემპი
    - საშუალო შეწონილი EBITDA მარჟა
    - უცხოელი ვიზიტორების წილი
    - ლევერეჯი (Debt/EBITDA), საკრედიტო რისკები და კვლევის სხვა შედეგები
    - შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა

- ❑ შეჯამება


# კირველადი კვლევა - შერჩევის ზომა და მახასიათებლები

- საბანკო სისტემაში უნიკალური მსესხებლების რაოდენობა სექტორში (გენერალური ერთობლიობა) - 3 287, საიდანაც შეირჩა მხოლოდ ისეთი ობიექტები, რომელიც გახსნილი იყო და ფუნქციონირებდა 2019 წელს;
- შერჩეული მსესხებლების რაოდენობაა - **208** (214 ობიექტი), რაც მთლიანი რაოდენობის **6%**-ს შეადგენს;
- შერჩეული მსესხებლების საკრედიტო დავალიანება 31/12/2020-ის მდგომარეობით მთლიანი პორტფელის **41%**-ია;
- მონაცემების რეალურობა და მსესხებლების ფინანსები არ არის შესწავლილი სეზონის მიერ და კვლევა ეფუძნება კომერციული ბანკების მიერ მოწოდებულ ნედლ ინფორმაციას;

შერჩევის განაწილება სეგმენტებად და რეგიონებად




შერჩევის განაწილება განთავსების ტიპების მიხედვით




- მონაცემები მოწოდებულია **12** კომერციული ბანკის მიერ

# საშუალო წლიური ADR და დატვირთულობის კოეფიციენტი (Colliers)


თბილისი




თბილისი და სხვა დედაქალაქები




ზამთრის კურორტები



ზღვისპირეთი




Destination Hotels




# საშუალო წლიური ADR და დატვირთულობის კოეფიციენტი (კვლევის შედეგები)


თბილისი




ზღვისპირეთი







ზამთრის კურორტები



Destination Hotels




# სეზონურობა - 2019



# შემოსავლების (ბრუნვების) აღდგენის ცემა


თბილისი - ჯამური შემოსავლების შემცირება 2019 წელთან შედარებით

2020 2021




ზღვისპირეთი - შემოსავლების შემცირება 2019 წელთან შედარებით

2020 2021



ზამთრის კურორტები - შემოსავლების შემცირება 2019 წელთან შედარებით

2020 2021







Destination Hotels - შემოსავლების ზრდა 2019 წელთან შედარებით

2020 2021



# საშუალო შენონილი EBITDA მარჯა




\* 2021 წლის ბოლო რაოდენობა თვე მოიცავს კომპერსიული განკაგის პრობნოზას




# უცხოელი ვიზიტორების წილი


## თბილისი




## ზღვისპირეთი



## ზამთრის კურორტები




## Destination Hotels




# ლევერეჟი - Debt/EBITDA


თბილისი




ზღვისპირეთი



ზამთრის კურორტები




Destination Hotels




# საკრედიტო რისკები და სხვა შედეგები


LTV (2021)




ობიექტების საშუალო ასაკი (წელი)



საკუთარი კაპიტალის წილი მთლიან აქტივებში (2019)




ინვესტიციის მოცულობა 1 ნომერზე დაანგარიშებით ("000)




# შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა


Maintenance Cap.Ex-ის წილი შემოსავლებში 2019 წელს (შეწონილი საშუალო)




ნომრებიდან მიღებული შემოსავლის წილი მთლიან შემოსავლებში (2019 - საშუალო)



Maintenance Cap.Ex/გრძელვადიანი აქტივები 2019 წელს (შეწონილი საშუალო)



შემოსავალი/გრძელვადიანი აქტივები (2019)



# შეჯამება

- ❑ ცურიზმის სექტორი საქართველოში მომსახურების უმსხვილესი ექსპორტიორია, მშპ-ში მისი კონტრიბუცია კი მზარდია. ასევე საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელში სასაფუძვლოებისა და ცურიზმის სექტორი უმსხვილესია და მთლიანი პორტფელის 11% უჭირავს;
- ❑ საქართველოს ეკონომიკა უფრო მეტადაა დამოკიდებული ცურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე, ვიდრე სხვა შესადარი ქვეყნები. მიუხედავად ამისა, ამავე ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით გვაქვს გაცილებით მეტი ვიზიტორის მასპინძლობის შესაძლებლობა;
- ❑ პანდემიამდე ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მზარდი იყო, თუმცა 2018-19 წლებში ხასიათდებოდა კლებადი ზრდის ტემპით. ასევე კლებადი იყო ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობაც, რამაც გავლენა მოახდინა მაღალი კლასის სასაფუძვლოების დაცვირთულობის კოეფიციენტზეც;
- ❑ სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით, ბოლო 8 წლის განმავლობაში ცურიზმისთვის საუკეთესო წელი 2017 წელი იყო. შემდგომ პერიოდში მცირდება ზრდის ტემპები, ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა, სასაფუძვლოებში დაცვირთულობის კოეფიციენტები და სხვა;
- ❑ ნორმალურ პერიოდში ვიზიტორების უმრავლესობა (75%) მეზობელი ქვეყნების რეზიდენტები არიან, რომლებიც საქართველოს ვიზიტორებს შორის ყველაზე დაბალი მხარჯველობითა და ძალიან მოკლევადიანი ვიზიტებით გამოირჩევიან;
- ❑ საქართველოში სეზონური პერიოდი ზაფხულია, ხოლო პიკი აგვისტო. მიუხედავად ამისა საქართველო არ ითვლება სეზონური ცურიზმის მქონე ქვეყანად და WTO-ს სეზონურობის მიხედვით დაჯგუფებული ქვეყნების 4 ჯგუფიდან ყველაზე ნაკლებად სეზონური ჯგუფების საზღვარზე მდებარეობს (III ჯგუფში). ამასთან სეზონურობის კოეფიციენტი 2018-19-წლებში კლებადი იყო;
- ❑ უცხოელი ვიზიტორების მიერ განთავსების საშუალებებზე განეული დანახარჯები მაღალი ზრდით გამოირჩევა, რაც შესაძლებლობებს ქმნის სასაფუძვლო ბიზნესისთვის;
- ❑ სასაფუძვლოებში გადარებული ღირებულების რაოდენობა კლებადია, საპირწონედ კი უფრო და უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს აპარტამენტების ქირაობა და ჰოსტელები;
- ❑ საქართველოში უცხოელი ცურისტების მიერ გადარებული ღირებულების ზრდის ტემპი 2019 წლამდე აღემატებოდა საწოლფონდის ზრდის ტემპს. თუმცა დაგეგმილი/მშენებარე სასაფუძვლოების მიხედვით მიწოდების ზრდის ტემპები საგრძნობლად უნდა გაიზარდოს და სავარაუდოდ ცურისტების მიერ გადარებული ღირებულების ზრდას გადააჭარბებს. დისბალანსს ამძაფრებს პანდემიური ფონი და საომარი მოქმედებები რეგიონში;

# შეჯამება

- ❑ 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შედეგად შეზღუდული პირდაპირი ფრენების მიუხედავად, რუსეთიდან მიღებული ვიზიტორების წლიური რაოდენობა მაინც გაიზარდა. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ფაქტი დაახლოებით წლის შუა პერიოდში მოხდა, 2019 წლის პირველი ნახევრის მატალმა ზრდამ სრულად დააკომპენსირა მეორე ნახევრის კლება და 5%-იანი ზრდაც კი დაფიქსირდა;
- ❑ რეგიონისა და სხვა შესადარ ქვეყნებს შორის საქართველოში 2020 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ყველაზე დიდი, 83%-იანი შემცირება ფიქსირდება, რაც ნაწილობრივ საქართველოს შედარებით რეგულაციების სიმკაცრის მატალი ინდექსითაც აიხსნება;
- ❑ პანდემიამ მართალია ვიზიტორების რაოდენობა რადიკალურად შეამცირა, მაგრამ გააუმჯობესა მისი კონიუნქტურა. სავარაუდოდ ეს დროებითი ეფექტია და პანდემიის დასრულების შემდეგ საწყის 2019 წლის სტრუქტურას დაუბრუნდება; აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია ის, რომ საქართველოში საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები უფრო სწრაფი ტემპით აკეთებს აღდგენას, ვიდრე ვიზიტორების რაოდენობა;
- ❑ წლის დასაწყისიდან დღემდე კოვიდ ვითარება საგრძობლად დასცაბილურდა საქართველოშიც და ჩვენს ტოპ10 ვიზიტორ ქვეყანაშიც, რაც ხელს უწყობს ტურიზმის სწრაფი აღდგენის ტემპს. მათთან შედარებით საქართველოში ყველაზე დაბალი აცრის მაჩვენებელია, თუმცა ამას გავლენა ალბათ უფრო გასვლით ტურიზმზე ექნება ვიდრე შიდა ტურიზმზე;
- ❑ პანდემიამ ყველაზე ნაკლები გავლენა Destination Hotels კატეგორიაზე მოახდინა, ხოლო ყველაზე ძლიერი თბილისზე. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ თბილისი უფრო მეტადაა დამოკიდებული საერთაშორისო ტურიზმზე, ვიდრე დანარჩენი რეგიონი;
- ❑ 2020 წელს საზღვრების ჩაკეცვის გამო საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტებიც რადიკალურად შემცირდა. თუმცა პანდემიის პირველ წელს შიდა მოზილობის ხშირი შეზღუდვების გამო ამ კონტინგენტის შიდა ტურიზმში გადმონაცვლება ვერ მოხერხდა, რაც სასტუმროების ბიზნესს დაეხმარებოდა სტრესის შემცირებაში;
- ❑ 2021 წელს შეზღუდვების შემსუბუქებასთან ერთად გაიზარდა შიდა ტურიზმიც. განსაკუთრებული ზრდა იყო კახეთში, რამაც მოახდინა კიდევ დადებითი ეფექტი Destination ტიპის სასტუმროების საოპერაციო საქმიანობასა და მომგებიანობაზე;
- ❑ აღდგენა უფრო სწრაფად ხდება მატალი კლასის სასტუმროებში, ვიდრე დანარჩენ სასტუმროებში. ხოლო მატალი კლასის სასტუმროების შემოსავლები უფრო ნაკლებად სეზონურია, ვიდრე საშუალო და დაბალი კლასის სასტუმროების;



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

ირაკლი ისაკაძე | [irakli.isakadze@nbg.gov.ge](mailto:irakli.isakadze@nbg.gov.ge) | +995 32 2 296 588  
მცირე და საშუალო და კორპორატიული საკრედიტო რისკების განყოფილება  
წამყვანი სპეციალისტი

ჯაბა მეხრიშვილი | [jaba.mekhrishvili@nbg.gov.ge](mailto:jaba.mekhrishvili@nbg.gov.ge) | +995 32 2 406 271  
მცირე და საშუალო და კორპორატიული საკრედიტო რისკების განყოფილება  
განყოფილების უფროსი